ცნობის ფურცელი

№ 1772 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 4 აპრილი № 1772

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პერდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები „რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 5 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ტფილისში.

4 აპრილიდან 1902 წლისა ქ. ტფილისში იწყებს **მხოლოდ კახური ღვინოების** სპეციალურ ვაჭრობას. ფასი იქნება 30 კაპ. დაწყებული ბოთლი და ვედრო 4 მანეთიდან. ერთბაშად ბევრის მსყიდველს და სამუდამო მუშტარს ღვინის ფასი დაეკლებათ. ვინც ათ ბოთლზე ნაკლებ არ მოითხოვს, იმას უფასოთ მიუტანენ სახლში

ღვინოები იქმნება საკუთარის ვენახიდან კახეთში, სოფ. ბარკუცხეში და საკუთარის ვენახებიდან კახელ მემამულეებისა; ღვინის ყურის გდება და საზოგადოდ ამ საქმის წარმოება მინდობილი აქვს გამოცდილს და საქმის მცოდნე ღვინის მკეთებელს.

ღვინო გაიყიდება: ტფილისში: ა) დიდს საწყობში (გოლოვინის პროსპექტი, დობრჟანსკის სახლი, სახელმწიფო თეატრის პირდაპირ), ბ) დეპო № 1 (სასახლის ქუჩა, საკ. სახლი), გ) დეპო № 2 (ვორონცოვის მოედანი, სახლი ნარიმანოვისა) და დ) ტფილისის საუკეთესო გასტრონომიულს მაღაზიაში. ბაქოში: საკუთარს საწყობში. (5—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

ბ ა თ უ მ შ ი

ამა მარტის 10-დან გაიხსნა პირველ ხარისხოვანი საუკეთესო

სასტუმრო „ორიენტალ“

რომელიც მოთავსებულია საგანგებოდ აშენებულ სახლში ნავთსადგურის პირდაპირ, ზღვის პირად. სასტუმრო მშვენიერად მოწყობილ-მორთულია; განათება ელექტრონული; ზღვის აბანო; საუკეთესო მზარეული; მოსამსახურენი—თავაზიანი და მარჯვე. **ფასები იაფი** ყველაფერზე. ტელეფონი № 141.

(ნ 15—5) სასტუმროს პატრონი **ე. ზერძენიშვილი**

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლის ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილის მოსაზრების განხილვა, ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის ალებ—მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავების და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.** (ნ. 10—8)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

თავად-აზნაურების წინამძღოლთა შორის შეთანხმების საჭიროება

[illegible]უშინ წინ ჩვენმა რედაქციამ მთავრობის განზრახვა საგანგებო კომიტეტების მოწვევის შესახებ მკითხველებს გააცნო. ოფიციალური გაზეთის «Прав. Вѣст.»-ის (№ 69) სიტყვით, კომიტეტებმა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი უნდა გამოარკვიონ. რადგან სასოფლო-მეურნეობასთან ყველა მხარე სახელმწიფო ცხოვრებისა არის შეკავშირებული, ამიტომ საგანგებო კომიტეტები სახელმწიფო კითხვების განხილვასაც ვერ ასცდებიან... მაგრამ მათი პირდაპირი დანიშნულებაა გამოსძებნონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა საშუალებით შეიძლება დახმარება აღმოეჩინოს სასოფლო-მეურნეობას. ხოლო თუ რამე სახელმწიფო საკითხი აღიძრა, ამის შესახებ კომიტეტი ვერაფერს ვერ გადასწყვეტს, მხოლოდ თავის მოსაზრებას მთავრობას წარუდგენსო.

ამ გვარი ხასიათი და დანიშნულება ეძლევათ მომავალ კომიტეტებს. საზოგადოება თვით-მოქმედებისათვის არის მოწვეული და ამ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, თავის მოვალეობას როგორ აღასრულებს. ყველა ამაში, სხვათა შორის, ჩვენთვის საგულისხმო ის არის, რომ კომიტეტები ამიერ-იმერეთშიაც არსდება. საყურადღებოა, რომ ორ საგუბერნიო კომიტეტში (ტფილისის და ქუთაისისა) ჩვენებური თავად-აზნაურთა წინამძღოლებიც იქმნებიან მოწვეულნი და მაშასადამე ამ წინამძღოლთა საშუალებით გვექნება საშუალება ჩვენი სოფლის საჭიროებანი მთავრობას ვაცნობოთ. საგუბერნიო კომიტეტები ჩვენში, წინამძღოლების გარდა, გუბერნატორის და სამი სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოხელეთაგან შესდგება. ორსავე კომიტეტებში ჩვენებურ წინამძღოლებს ხმის უმეტესობა ექმნებათ (ტფილისის გუბ. 7 ხმა, ქუთ. გუბ. 5). და თუ ხმის ამ უმეტესობასთან ერთად მომზადებას და ცოდნას აღმოაჩენენ, კომიტეტების დაარსებას შეიძლება პრაქტიკული ნაყოფიც მოჰყვეს და ჩვენს დაბეჩავებულ სოფელსაც რაიმე ეშველოს.

ყველა ამისათვის, ჩვენი თავად-აზნაურთა წინამძღოლნი წინდაწინვე უნდა შეიარაღდნენ, მოემზადნენ და ერთ განსაზღვრულ გეგმას დაადგნენ. ამიერ-იმერეთის სოფლურ ცხოვრების პირობები შიდა-რუსეთის სოფლურ ცხოვრების პირობებიდან ბევრად განირჩევიან. ამიტომ საერთო კითხვებთან ერთად, ეს ჩვენი ადგილობრივი კითხვებიც უნდა იქმნენ აღძრულნი, რადგან ჩვენი სოფლის დაქვეითება ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობისაგანაც წარმოსდგება. ამიერ-იმერეთის სოფლის განსაკუთრებული პირობები და მდგომარეობა წინამძღოლებს უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული და ამისათვის მათ შორის შეთანხმებაა საჭირო. . . . .

უმთავრესი ყურადღება რას უნდა მიექცეს ჩვენის სოფლის საჭიროებათა აღნუსხვის დროს? სოფლური ცხოვრების პირობები მეტად რთულია. ამ პირობებში ზოგიერთი იმგვარი ხასიათისაა, რომ მთელ მხარეს აძლევს ვნებას, ზოგი კი ერთ სოფლის სვე-ბედის ფარგალს არა სცილდება, ზოგს საერო ასიათი აქვს, ზოგს ადგილობრივი. ამიტომ ყოველთვის ჩვენი სოფლის ის მხარე უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომლის დაკმაყოფილებას მეტი საზოგადო და საერო ხასიათი აქვს.

სოფლის ცხოვრებას ორი მხარე აქვს. ერთი ეკონომიური მხარეა, მეორე საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი. ეკონომიური და მოქალაქეობრივი (საზოგადოებრივი) მხარე ხალხის ცხოვრებისა ისე ვიწროდ არის ერთმანეთში დაკავშირებული, რომ ხშირად ერთის ჩამორჩენას, მეორის დაქვეითება და ჩამორჩენა მოსდევს.

სოფლელ ხალხის ეკონომიური შეძლებლობა, უწინარესს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მისი ნამუშევარის, მაწულის შემოსავალი გასავალს აღემატება. საჭიროა, სოფლის მწარმოებელს საკუთარი საწარმოვო იარაღი, მიწა ჰქონდეს. საკუთარი მიწა მეტ შემოსავალს მისცემს, რადგან ღალა და საიჯარო გადასახადი სოფლელს აღარ გადახდება. მაგრამ ჩვენში მიწის დიდი სივიწროვეა. სოფლელებს რომ საკმარისი სარჩენი მიწა ჰქონდეთ, ცარიელი ადგილი ამიერ-კავკასიაში არ უნდა დარჩეს. . . . . რუსეთში, იმ გუბერნიებში, საცა საერობო დაწესებულებანი (земскія учрежд.) არიან შემოღებულნი, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობასაც უკეთესობა ეტყობა. საერობო დაწესებულებანი ხალხის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, გზების გაყვანაზე, ელევატორების აშენებაზე, სამეურნეო სტატისტიკაზე და ბევრ სხვა სოფლის საჭიროებაზე ზრუნავენ. ჩვენი სოფელი ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია. სოფლელები თვითმოქმედებას სრულიად მოკლებულნი არიან. ამიტომ საერობო დაწესებულების შემოღება ჩვენს სოფელშიაც აუცილებლად საჭიროა. ერობა მეტის დაფიქრებით და სამართლიანობით შეადგენს სოფლის საჭიროებათა დაკმაყოფილების ხარჯთ-აღრიცხვას, შეამსუბუქებს ადმინისტრატიულ მზრუნველობას და თვით-მომქმედ გზაზე გამოიყვანს ჩვენს სოფელს.

თუ ეკონომიური და საზოგადოებრივი მხარე ხალხის ცხოვრებისა ასე მკვიდრად არიან დაკავშირებულნი, ეს ორი მხარე ხალხის ცხოვრებისა არა ნაკლებ არის დაკავშირებული ხალხის სწავლა-განათლებასთან, კულტურასთან. ცხოვრების უკეთესად მოწყობისათვის, გაუმჯობესობისათვის ცოდნა არის საჭირო. ცოდნა ხალხს სკოლა უნდა აძლევდეს, მაგრამ სკოლას მხოლოდ მაშინ ექმნება განმანათლებელი მნიშვნელობა, როდესაც იგი პედაგოგიურ საფუძველზეა დამყარებული . . . . .

მაშასადამე, მიწის მესაკუთრეობის კითხვა, კოლონიზაციის შეჩერება, საერობო დაწესებულებათა შემოღება და განათლების იარაღის, სკოლის განახლება—აი ის ოთხი საკითხი, რომელის განმარტებას, ჩვენთვის საზოგადო, საერო ხასიათი უნდა ჰქონდეს. რასაკვირველია, ჩვენებურ სოფელს ბევრი სხვა რამეც ესაჭიროება: კრედიტი, სამეურნეო ამხანაგოების დაარსება, მიწების გამიჯვნა, გადასახადის სამართლიანად განაწილება და სხვა-და სხვა, მხოლოდ ყველა ამის განხორციელება ძლიერ გაძნელდება, სანამ ზემოდ აღნიშნული მხარე ხალხის ცხოვრებისა დაკმაყოფილებული არ იქმნება.

სასურველია, რომ ამიერ-იმერეთის წინამძღოლები თავიანთ მომავალ შრომას სერიოზულად მოეკიდნენ. სასურველია, რომ მათი ყურადღება იქმნას მიქცეული საზოგადო, საერო საჭიროებაზე. ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებას მათის დახმარებით და საშუალებით, სხვათა შორის, ის შედეგიც მოჰყვება, რომ, ზოგიერთ კითხვების განმარტებაში, წოდებათა შორის საერთო მოქმედებას პრაქტიკული საფუძველი დაედება.

არჩილ ჯორჯაძე.

ახალი ამბავი

✦ ამ დღეებში მოხდება **პირველი სხდომა** ახლად შემდგარის საგუბერნიო საფაბრიკო-საქარხნო საქმეთა საკრებულოსი.

✦ მოგვყავს ზოგიერთი ცნობა ამიერ-კავკასიის საფთიაქო წამლებით მოვაჭრე **ფარ-**

მაცევცთა ამხანაგობის 1901 წლის მოქმედების ანგარიშიდან. წლის განმავლობაში ამხანაგობის გამგეობას შეუძენია წამლები და სხვა სააფთიაქო საქონელი სულ 65,850 მან. 91 კაპეიკისა. წლის განმავლობაში ამხანაგობას 25648 მან. 38 კაპ. სალირალი საქონელი გაუყიდნია 33,398 მან. 61 კაპეიკად, ასე რომ მოუგია 7750 მან. 23 კაპ., დარჩენია გაუყიდველი საქონელი 40,202 მან. 53 კაპეიკისა. ძირითადი ფანზა ამხანაგობისა უდრის 10,750 მან. ამხანაგობის წევრებზე საწევრო შემოუტანელი ფულია 1170 მან. 61 კაპ.

როგორც სჩანს ამხანაგობის პირველ ანგარიშიდან, მისი საქმე მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული და კარგი მომავალიც მოსალოდნელია.

◆ დღეს, 4 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა საბჭოს კომისიისა ქალაქის ხმოსანთა ახალ **სარჩევნო სიების** გადასათვალიერებლად და განსახილველად.

◆ ორ აპრილს შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და განსაკუთრებულის კომისიისა შეუდგა პროექტის განხილვას, რომელიც წარმოადგინა უსახელო საზოგადოებამ **ელექტრონის ტრამვაის** დაარსების გამო.

◆ კავკასიის სამედიცინო საზოგადოებამ დაადგინა, დანიშნოს ოთხშაბათს, 10 აპრილს, საზოგადოების წევრთა **საზოგადო კრება**, რათა განიხილონ მოხსენებანი და წარსულ სხდომაზე დარჩენილი განუხილველი საქმეები.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა გამგეობის ხმოსნის ხოსროევის სამსახურიდან **დათხოვნა** ავადმყოფობის გამო.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ **ნება დართო** ქალაქ ტფილისს ხელი გაიმართოს 50 ათასი მანეთით ქალაქის იმ სესხიდან, რომლის გამოცემის ნება დართული იყო 28 იანვარს 1899 წელს; ეს ფული ქალაქმა უნდა მოიხმაროს ქალაქის ხორცის დუქნების გახსნის საქმეში. ამ გვარად ქალაქსა აქვს სახსარი ხორცის დუქნების გახსნისა და მოწყობისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, დიდხანს არ გვალოდინებენ ამ განხორციელებისათვის.

◆ **ხორცის სიძვირემ** ტფილისში თანდათან უფრო იჩინა თავი. საქონელს თითქოს სულ აღარ ხოცავენ, რის გამოც არამც თუ მცხოვრებნი ვერა შოვობენ ხორცს, რაც უნდა შეაძლიონ, სასწავლებლებისთვის და საავადმყოფოებისათვისაც კი ვერა შოულობენ ხორცს. ამბობენ, ყასბებს პირობა აქვთ შეკრული, არ დახოცონ საქონელი, ვიდრე ხორცის ხარისხებად დაყოფას არ გადააგდებენ და ნიხრს არ მოუმატებენ. საქონელში კი ნაკლებულობა არ არის, რაც წინად ყოფილა, ეხლა იმაზე მეტი თუ, არა, ნაკლები არ არის; მხოლოდ შეძლებულ ყასბებს საკლავი საქონელი მინდორში ჰყავთ საძოვარზე და დროს უცდიან, საწადელს მიაღწიონ.

◆ სასულიერო მთავრობამ ტფილისის **სასულიერო სემინარიის** ახლად ასაგებ შენობისათვის ავეჯეულობის შესაძენად გადასდო სემინარიის საბჭოს განკარგულებაში 5000 მანეთი; ხოლო, როგორც გამოუანგარიშებიათ, აღნიშნულ საქმისათვის საჭიროა არა ნაკლებ 10,000 მანეთისა. ამიტომ რამდენიმე დღის წინად ტფილისის სასულიერო სემინარიის საბჭომ გარდასწყვიტა გამართოს ხელის-მოწერა 5000 მან. მოსაკრებად და აგრეთვე დააკისროს სასულიერო უწყების წარმომადგენელთ, შეძლების დაგვარად, აღნიშნულ საქმისათვის ფული შემოსწირონ.

◆ ტეხნიკოსთა განსაკუთრებული კომისიის დასკვნის თანახმად, პოლიციის მეოთხე ნაწილის ბოქაულმა **სამართალში მისცა** „სიმენს და გალსკეს“ ელექტრონის სადგურის გამგე, რომელიც თაიროვის სახლში თავის საწყობში ასაფეთქებელ მასალას ინახავდა, რის გამოც აფეთქება მოხდა ამ დღეებში და ორი კაცი დასახიჩრდა.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების **სასტატისტიკო ბიუროს** კომიტეტის სხდომა გუშინ-წინ, 2 აპრილს, არ შესდგა, რადგანაც სხდომას კომიტეტის თავმჯდომარისა და ერთის წევრის მეტი არავინ დაესწრო. ამის გამო სხდომა დაინიშნა სამშაბათს, 9 აპრილისათვის.

◆ ტფილისის **დურგალთა ამხანაგობის** „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება, რომელიც 31 მარტს არ შესდგა, გადაიდო კვირას, 7 აპრილისათვის. ამ დღეს, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კრება კანონიერად ჩაითვლება.

◆ შაბათს, 6 აპრილს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექნება საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის **უძრავ მამულების დაფასების საქმე**. კომისიამ უნდა განიხილოს ათი კაცის განცხადება იმის შესახებ, რომ ხელმეორედ იქმნენ დაფასებული მათი მამულები, რადგანაც წინანდელი დაფასება მათ უკანონოდ მიაჩნიათ.

◆ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ. მაჭავარიანი ბორჩალოს მაზრიდან დაბრუნდა, სადაც ის გაგზავნილი იყო ხალხში გავრცელებულის სხვა-და-სხვა ავადმყოფობის მოსასპობად. ექიმის სიტყვით, თითქმის ყველა **ავადმყოფობა მოისპო**.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ, როგორც კი გაზაფხულის ტფილი დღეები დაიჭირა, განჯის გუბერნიაში დიდ-ძალი **მინდვრის თაგვი** გაჩნდა, რომლებიც დიდს ზიანს აძლევენ ნათესებს.

◆ გუშინ-წინ ტფ. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც ბორჩალოს მაზრის მცხოვრებს ჯაფარხანიევს კაცის მკვლელობისათვის გარდაწყვეტილი ჰქონია ყოველისავე ღირსებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 8 წლის ვადით გაგზავნა.

ქუთაისის ახალი ამბები

〰 ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მორიგი წლიური კრება, როგორც წინად დაბეჭდილი გვქონდა, 31 მარტს იყო დანიშნული, მაგრამ არავისთვის მოსალოდნელი არ იყო, თუ ეს კრება არ მოხერხდებოდა იმ მიზეზით, რომ წევრთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა ამ დღეს. მართალია, 410 წევრი მოვიდა დანიშნულ დღეს და ადგილს, მაგრამ საკმაო რიცხვს კიდევ დააკლდა 13 კაცი. დიდხანს ელოდებოდნენ, აი ეხლა შემოგვემატება დანაკლისი წევრები, აი ეხლაო, მაგრამ მომსვლელი აღარავინ აღმოჩნდა და კრება სასხვადროისოდ გადაიდვა.

〰 31 მარტს, ღამით, ქუთაისის მცხოვრებს, თერძს პეტრე ლორთქიფანიძეს ოთხი შეიარაღებული ღამის რაინდი ესტუმრა. წინა დღით ლორთქიფანიძეს ოცი თუმანი მიეღო ერთის მუშტარისაგან და, ალბად, ამის მადა თუ აუშალათ დაუპატიჟებელ ღამის სტუმრებს. მაგრამ ლორთქიფანიძეს იმ დღესვე დაეხარჯა აღებული ფული. საქონელი უყიდნია იმ ფულით.

რაინდებმა მიჩქმალ-მოჩქმალეს ლორთქიფანიძის ბინა და მხოლოდ ხუთი შაური იპოვნეს პატრონის ჯიბეში... ცარიელ-ტარიელები უკან გამოსულიყვნენ ეს ვაჟბატონები. გამოძიება სწარმოებს.

〰 31 მარტს, სალამოს ათი საათი იწყებოდა, ეგრედ წოდებულს „სიცოცხლის წყარო“-ს რესტორანში საქეიფოდ მისულან სოფლიდან ჩამოსულნი „ძმა-ბიჭები“ — ახალ გაზდები. ჯანზე რომ იქეიფეს და კარგად ღვინით გაიჟღენთეს, მერე ჩხუბი მოუვიდათ დანახარჯის განაღდებისა გამო. ერთმანეთში რომ ვერ მორიგდნენ, ახლა რესტორანის პატრონს მიადგნენ-„შენ ასეთო, შენ ისეთოო“ და მიულეწ-მოულეწეს ავეჯეულობა. პატრონმა არც აცივა, არც აცხელა — და იქვე ახლოს თეატრს მიატანა, ამ დღეს წარმოდგენა იყო, და იქ მყოფ პოლიციას შველა სთხოვა.

როგორც მოგეხსენებათ, პოლიციამდე საქმე რომ მივარდება, ზემოთ მოხსენებულის მაგვარ ყმაწვილებისათვის საქმე უთუოდ „პროტოკოლით“ უნდა გათავდეს. პოლიციის ნაწილში მიაბრძანეს მოქეიფენი და ოქმი შეუდგინეს.

რუსეთის ქრონიკა

⁂ „მოსკოვ. ვედ“-ს სწერენ პეტერბურგიდან, რომ ამ დღეებში დაასრულა მუშაობა იმ კომისიამ, რომელიც დაარსებული იყო ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს მმართველობასთან ზოგიერთ საყურადღებო საკითხების გამოსარკვევად. სხვათა შორის, კომისიას დაევალა — შეედგინა პროექტი ფოსტის მოხელეთა სამსახურის დროის მოწესრიგებისა. კომისიამ გადასწყვიტა ფოსტის მოხელეს სამუშაო დღე 8-10 საათს გრძელდებოდეს, უკიდურეს შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს დღე-ღამეში. ამ დადგენილების თანახმად, საფოსტო-სატელეგრაფო ოლქების უფროსთ დაევალათ ფოსტის მოხელეთა შორის ისე გაანაწილონ სამუშაო, რომ ჯაფა თანასწორად შეხვდეს ყველა მოხელეთ და მაცადინეობა არ აღემატოს ზემოდ ნაჩვენებ დროს (8-10 საათს). ტელეგრაფის მოხელეებზე კომისიას სჯა არ ჰქონია, რადგან მათთვის უკვე 1886 წლიდან არსებობს ნორმალური შტატი, მაშინ როდესაც საფოსტო დაწესებულებისთვის შემოღებული იყო „დროებითი წესები“. ახლა ამ დროებით წესებში ბევრი საყურადღებო ცვლილება იქნება მოხდენილი. კომისიამ ამასთანავე შეიწყნარა ზოგიერთ საფოსტო-სატელეგრაფო ოლქების თხოვნა შტატების მომატების შესახებ.

⁂ ამ ჟამად საერო განათლების სამინისტრო იხილავს საკითხს, თუ რა პროგრამით შეიძლება ასწავლონ სასოფლო მეურნეობა საქალებო გიმნაზიებში.

⁂ მალე პეტერბურგი იდღესასწაულებს თავის არსებობის 200 წლის იუბილეის. სატახტო ქალაქის თვით-მმართველობა ძალიან ემზადება ღირსეულად იდღესასწაულოს ეს დღე და ამასთანავე განზრახვა აქვს აღნიშნოს იგი სხვა-და-სხვა საზოგადო სასარგებლო საქმით. სხვათა შორის, განზრახულია განხორციელდეს ერთი მეტად საჭირო პროექტი, სახელდობრ — დაწესდეს საყოველთაო და მუქთი პირველ-დაწყებითი სწავლება პეტერბურგის მცხოვრებთათვის. ამ საკითხის განსახორციელებლად საიუბილეო კომისიამ განსაკუთრებული კომიტეტიც დააარსა, რომელსაც უკვე შეუდგენია საბჭოში წარსადგენი პროექტი.

⁂ 28 მარტს დაიწყო სხდომები მიწადმოქმედების სამინისტროს სამეურნეო სესსიისა. წელს სესსიას, სხვათა შორის, განსახილველი აქვს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იქმნას გაძლიერებული სამეურნეო საზოგადოებათა მოღვაწეობა.

დ. ს. სიპიაგინი

გუშინ ტელეგრამმა ამბავი მოიტანა პეტერბურგიდან შინაგან საქმეთა მინისტრის ეგერმეისტერის სიპიაგინის მოკვლის შესახებ *).

დიმიტრი სერგეისძე სიპიაგინი დაიბადა 1853 წელს, ასე რომ სულ 49 წლისა იყო. დაასრულა თუ არა კურსი პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაშინვე შეუდგა სახელმწიფო სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროში. შემდეგ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზედ გამოვიდა და მსახურებდა მოსკოვის გუბერნიის ვოლოკოლამის მაზრის საერობო დაწესებულებებში. 1884 წელს დ. ს. სიპიაგინი არჩეულ იქმნა მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. 1886 წელს სიპიაგინი კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფო სამსახურს და დაინიშნა ხარკოვის ვიცე-გუბერნატორად; 1888 წელს გადაყვანილ იქმნა კურლიანდიაში გუბერნატორად; 1891 წელს დაინიშნა მოსკოვის გუბერნატორად. ორის წლის შემდეგ 38 წლის სახელმწიფო მოღვაწე გამოიწვიეს პეტერბურგს და დანიშნეს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თანაშემწედ, ხოლო 1894 წელს — შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ. ერთის წლის შემდეგ, 1895 წელს, სიპიაგინი ინიშნება მისი უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიის მმართველად და, ბოლოს, 1899 წელს მას ჩაებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს მართვა.

დაბა-სოფლები

საჩხერე. 26 მარტს, დილის ათ საათზე, საჩხერის შუა ბაზარში უეცრად გაუჩნდა ცეცხლი აქაურის ხელოსნის იორდანე ბოჭორიშვილის ხის ორ-სართულიან სახლს. თვითონ სახლის პატრონი, ცოტათი ნასვამი, სახლში იყო და ეძინა; მისი ცოლი-კი მეზობლებთან წასულიყო და სამზარეულოში გაჩაღებული ბუხარი დაეტოვებია; იქიდან ნაპერწკალი გადმოვარდნილიყო და ნაფოტს ცეცხლი მოჰკიდებოდა. ცეცხლი უეცრადა და სწრაფად მოედო მთელს სახლს, ასე რომ უბედურ ბოჭორიშვილის გამოყვანაც ძლივს მოასწრეს, სახლიც და ყოველივე ავლა-დიდება დაიწვა. ზარალი 2500 მანათს აღემატება. კიდევ კარგი, რომ ქარი არა ჰქროდა, თორემ ბაზარზე სხვა შენობებსაც მოედებოდა ცეცხლი და მაშინ მთელი საჩხერე გადაიწვოდა.

დროა ჩვენმა დაბამაც იზრუნოს ცეცხლის მქრობელ რაზმის გაჩენისა და მანქანების შეძენისთვის, თორემ ერთხელ იქნება დიდი უბედურება დატრიალდება.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

1 აპრილის კრება

კრება გაიხსნა ღამის 9 საათზე. 21 ხმოსანი დაესწრო. ქალაქის თავის, ბ. ლორქიფანიძის ავადმყოფობის გამო, თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი ბ-ნი გველესიანი. საბჭოს განსახილველად ჰქონდა 12 საქმე. 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 1899 წლის გამგეობის მოქმედება, მაგრამ დამსწრე ხმოსნების რიცხვი ამ მოხსენების გასარჩევად კანონიერად საკმარისი არ იყო და ამისათვის ეს მოხსენება სხვა დროისათვის გადადვეს.

2) კრებას მოხსენდა ქუთაისის 6 კლასიან სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა საბჭოს ოქმი. ქუთაისის 6 კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელს ძირეულ კლასებთან კიდევ პარალელური განყოფილებები აქვს, რომლებიც სხვა-და-სხვა ქუჩებსა და სახლებშია მოთავსებულიო. მოსწავლენი 450-ია. საბჭოს ოქმში ნათქვამია, რომ მასწავლებლებს და ინსპექტორსაც შრომა მოუმატათ თუ სახლიდან სახლში გაკვეთილებზე სიარულით, თუ მოსწავლეთა ბინების დათვალიერებით. ამის გამო სთხოვენ ქალაქს ნივთიერ დახმარებას — ინსპექტორისათვის თვეში 25 მან. და მასწავლებლისათვის 75 მანეთს წელიწადში.

მასწავლებელთა ოქმში სხვა ქალაქების მაგალითიცაა მოყვანილი: ბაქოსი, კავკასიის და სხვა.

ხმ. მ. დარახველიძე ეკითხება, რა პარალელური კლასები არის, მოხსენებით ვერაფერი გავიგეო.

ხმ. პეტრიაშვილმა განუმარტა კრებას სასწავლებლის საბჭოს მოხსენება და ბოლოს სთქვა: „მე ჩემის მხრით ვთხოულობ დავაკმაყოფილოთ საბჭოს სათხოვარი. მხოლოდ მასწავლებელთა შესახებ გასამრჯელოს გამოღება მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდე მოვიცადოთ, რადგან ამ ჟამად ქალაქს შეძლება არა აქვსო.

ამ მოხსენებამ ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ხმოსანთა შორის, ბევრი თანახმა იყო დაეკმაყოფილებინა სასწავლებლის სათხოვარი.

ხმ. ქიქოძე ეკითხება, რომელი თანხიდან ან თავისუფალი ფული სადა აქვს ქალაქს, რომ ეს სათხოვარი დააკმაყოფილოსო?

თავმჯდომარე უხსნის, რომ შეიძლება სხვა ხარჯები შევამციროთ და სასწავლებლის სათხოვარი დავაკმაყოფილოთო.

ხმ. ქიქოძე. ეს თავის თავის მოტყუება იქმნება. მე წინააღმდეგი არა ვარ გასამრჯელოს მიცემისა, მხოლოდ უნდა ნამდვილი წყარო-კი გამოვძებნოთ.

ბოლოს ეს საკითხი კენჭით გადაწყვიტეს ასე: ამა წლის 1 იანვრიდან დააკმაყოფილონ სასწავლებლის მოთხოვნილება.

3) „სადორიისა“ და ეკლარის ქვის სატეხის გამგებელი ავალიანი თხოულობდა ერთი დესეტინა ტყის მოჭრას. ამასთანავე ავალიანს დაწვრილებით აღწერილი ჰქონდა მდგომარეობა სადორიის ტყისა, საიდანაც ქალაქს ცოტა შემოსავალი არა აქვს. ბ-ნი ავალიანი ურჩევდა ქალაქს სადორიის ტყე დავყოთ ნაწილ-ნაწილად და სისტემით დავიწყოთ იმის ჭრაო. ქალაქის გამგეობას ამ საქმის გამოსარკვევად მიეწვია აჯამეთის ტყის პატრონი ანანოვი, რომელსაც, სხვათა შორის, ის აზრი გამოეთქვა, რომ სანამ სადორის ტყე კარგად არ გაიწმინდება, მანამდე სამასალო ტყედ ის არ გადაიქცევაო.

გამგეობა ბ-ნ ავალიანის პროექტის წინააღმდეგი ყოფილა.

ხმ. ქიქოძე ეთანხმება ავალიანის აზრს და თხოულობს ერთი დესეტინა ტყე მისცენ საცდელად.

ხმ. თავ. კ. ლორთქიფანიძემ ამის წინააღმდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და ის აზრი გამოსთქვა, რომ სანამდის მთლად ძირიანად არ ამოთხრით სადორიის ტყეს, მიწას არ გადავაბრუნებთ და შიგ არას დავთესავთ, მანამდე ეს ტყე არაფერს მოგვცემსო.

---

*) იხ. დეპეშა.

საბჭომ დაადგინა მიიწვიოს გამგეობამ მცოდნე კაცები, ბ-ნნი ვუჩინი, ვერმიშევი და გამოიკვლიოს, როგორ ემჯობინება სადორიის ტყის მოწყობ-რიგება.

4) მინერალურ წყლების გამყიდველმა მიტროფანე ლადიძემ სთხოვა ქალაქს იჯარით დაუთმოს „მწვანე ბაზრის“ მოედანზე ერთი საჟენი მიწა ისეთი ბუდკის ასაგებათ, როგორიც მას ჰქონდა გამართული საუბილეო გამოფენაზე.

ზოგმა იჯარით გაცემა ითხოვა ამ ადგილისა. კენჭის ჩამოტარებით საბჭომ დაადგინა მიეცეს ლადიძეს მიწა.

6) სადორიის ადგილების მოიჯარადრენი თხოულობენ ქუჩების გაკეთებას და განათებას. გამგეობა იმას ამტკიცებდა, რომ ქუჩების გაკეთება დიდ ხარჯს თხოულობს და ქალაქს ამისათვის ფული არა აქვს; ქუჩების განათება კი შეიძლებათ.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

მიმდინარე წლის მეაბრეშუმეობისათვის ამიერ-კავკასიაში შემოტანილია უცხოეთიდან 200,000 კოლოფი აბრეშუმის გრენი სხვა-და-სხვა ჯიშისა და თვისებისა. ამის გარდა ადგილობრივად დამზადებულია პასტერის მეტოდით 52,000 კოლოფი; ასე რომ ამ ჟამად ამიერ-კავკასიის საბრეშუმო რაიონების ბაზრებზე 252,000 კოლოფზე მეტი გრენია გასავრცელებლად, რომლიდან ჩვენ მეაბრეშუმეებისათვის საჭიროა მხოლოდ 80,000 კოლოფამდე.

ზემო აღნიშნულ გრენის რაოდენობიდან შემოწმებულია კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ 110,000 კოლოფი, დანარჩენი 142,000 კოლოფი კი შეუმოწმებელია და მათი თვისების შესახებ სანუგეშო არა ითქმის-რა. შემოწმებულ გრენის კოლოფებს შემორტყმული აქვს სამნაირი ბანდეროლი—თეთრი, მწვანე და წითელი; თეთრ ბანდეროლიან და წითელი ლაქის ბეჭდიან კოლოფებში მოთავსებულია სადი უპებრინო გრენი; მწვანე ბანდეროლიან და წითელ ლაქის ბეჭდიან კოლოფებში—უფრო ნაკლები თვისების საბაზროდ დამზადებული გრენი (промышленная). წითელ ბანდეროლიან და შავი ლაქის ბეჭდიან კოლოფებში კი მოთავსებულია უვარგისი, პებრინიანი გრენი. (კოლოფზე აწერია ქართულად) „ავადმყოფია“.

დიდი სიფრთხილე და წინდახედულება ჰმართებთ ჩვენ მეაბრეშუმეებს, რომ წარსულ წლებისამებრ მოგებისა და სიხარულის მაგივრად წაგება და მწუხარება არ მოიპოვონ. ამისათვის ვურჩევთ მათ, თავდაპირველად მხედველობაში იქონიონ შემდეგი გარემოება: 1) შეიძინონ მხოლოდ შემოწმებული გრენი (თეთრი და მწვანე ბანდეროლიანი) და მარშანდლებ ნუ მოუცდიან იმ დროს, ვიდრე გრენი შეხურდებოდეს და ჭიები გამოვიდოდეს. სამწუხაროდ ზოგიერთ ჩვენ მეაბრეშუმეებს ამ ბოლო დროს თითქმის ჩვეულებად გადაექცათ, გრენი არ შეიძინონ იმ დრომდე, ვიდრე ძლიერ სიცხეები დადგება, ჭიები გამოჩეკას დაიწყებენ და გრენიორები (მეთესლეები) ან გრენის ვაჭრები იძულებულნი გახდებიან თავის გრენი ან ჩალის ფასად გასცენ, ან-და გადაჰყარონ. წარსულ მეაბრეშუმეობის კამპანიდან ბევრი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ზემო აღნიშნულ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ 2—3 მანეთიან კოლოფ გრენას აბაზად და ორ შაურად ჰყიდულობდნენ მეაბრეშუმეები და იმის და მიხედვით რომ გრენი ძლიერ იაფი იყო, იძენდნენ ერთი კოლოფის მაგივრად სამსა და ოთხ კოლოფს გრენას, რომლის საყოფი არც თუთის ფურცელი, არც საჭიე სახლი და არც მუშა ხელი არა ჰქონდათ. რასაკვირველია, ამას ის სამწუხარო შედეგი მოჰყვა, რომ თითქმის უმეტესი ნაწილი მეაბრეშუმეებისა იძულებული გახდნენ 10—20 მანეთის თუთის (ბჟოლის) ფურცელი შეეძინათ თითოეულს და ბოლოს 12 ფუთი პარკის მოსავლის მაგივრად 3 ფუთი აღარ მოსვლიათ და სხვა და სხვა. 2) გრენა უნდა შეიძინოს მეაბრეშუმემ მხოლოდ იმოდენი, რამდენის გამოსაკვებად აქვს საყოფი საჭიე სახლი, თუთის (ბჟოლის) ფურცელი და მუშა ხელი, თორემ თუ გრენი მეტი შეიქმნა შეძენილი, ვიდრე მას შეუძლია მოვლა, იმ შემთხვევაში გაცილებით ნაკლებ პარკის მოსავალს მიიღებს და ტყუილად ჩაუვლის ორი თვის შრომა და ხარჯი. 3) ერთს საჭიე სახლში უნდა იქმნეს მოთავსებული მხოლოდ ერთი ფორმის და ჯიშის გრენიდან გამოჩეკილი ჭიები, თორემ იმ მეაბრეშუმეების მოსაზრება, რომლებიც ერთსა და იმავე საჭიე სახლში სხვა-და-სხვა ფორმისა და ჯიშის ჭიებს იჯდენენ იმ მიზნით ვითომ ერთი ფორმის გრენა თუ არა, მეორე მაინც გამოდგება კარგით, სამწუხაროდ, სრულებით წინააღმდეგ მიზანს აწევს: თუ რომელიმე ფორმის ჯიშის გრენი ავადმყოფი აღმოჩნდა გადამდებ სენით, იმ შემთხვევაში ეს სენი გადაედება სხვა, იმ სადგომში მოთავსებულ ჭიებსაც. და ბოლოს უქმად დაიხოცება.

დასასრულ ჩვენ მეაბრეშუმეების ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ სასურველია შეიძინონ ევროპიულ ჯიშის გრენი ყვითელი და თეთრი, რადგანაც ამ ჯიშის გრენიდან გამოჩეკილი ჭიები შედარებით ცოტა ბჟოლის (თუთის) ფურცელსა ჰსჭამენ და გაცილებით უფრო კარგ აბრეშუმსაც ახვევენ, ვიდრე ბაღდადის ჯიშის ჭიები. ფასების მხრითაც ევროპიული ჯიშის პარკები უცხოეთში და ამ უკანასკნელ წლებში ჩვენშიაც უფრო ძვირად ისყიდება.

იოსებ ქუთათელაძე.

წერილი სიღნაღიდან

(ჩვენი თვითმმართველობა)

28 მარტს ჩვენი ქალაქის მამების კრება არ შესდგა, რადგან არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა.

მამასახლისმა კრება გახსნა წარსული სხდომის ოქმის კითხვით. კითხვის დროს შემოვიდა ერთი მაღალი, ბაკებიანი, ესე 45 წლისა, ჭაღარა-შერეული რწმუნებული, რომელსაც თვით მამასახლისის მარჯვნივ დაუთმეს ადგილი. ბაკებიანია ქალაქის მამა დაეშვა თუ არა სკამზედ, დაიწყო რაღაც ღუღღუღი, რომლიდან რის ვაი-ვაგლახით გაარჩიეს, რომ ის ეტლით მობრძანდა სოფლიდან და მეეტლეს ძალზედ აჩქარებდა, რათა მოესწრო სხდომისათვის. გააგრძელეს ოქმის კითხვა, თუმცა ახლად მოსული არა სდუმდებოდა. კითხვის დასრულებისას ბაკებიანმა რწმუნებულმა ითხოვა ხელ-მეორედ წაეკითხნათ ოქმი. აუსრულეს სურვილი და ხელ-მეორედ გადაუკითხეს. შეუდგნენ მერე საქმეების განხილვას; სარევიზიო კომისიის მესამე წევრის ამორჩევის შემდეგ ადიძრა კითხვა—კომისიის თავმჯდომარე კრებაზე ამოერჩიათ და თვით კომისსიისათვის მიეცათ ნება ამის ამორჩევისა. ხმების შეგროვების დროს, ბაკებიანი რწმუნებული წამოდგა ფეხზე და ხმის ამაღლებით შეეკითხა მამასახლისს, რატომ მეც არ მკითხეთ აზრიო. მამასახლისმა მიუგო—ეხლა მიბრძანეთ, რა აზრისა ბრძანდებითო; მაგრამ მან პასუხი არ მისცა და ისევ დაჟინებით იმეორებდა—რატომ მეც არ დამეკითხეთო. სთხოვეს გაჩუმებულიყო რადგან ხმის უმეტესობით კითხვა გადასწყდა კიდევაც, მაგრამ ის ერთსა და იმავეს იმეორებდა და უფრო და უფრო ხმასაც იმაღლებდა. მამასახლისმა რამდენჯერმე სცადა გაეჩუმებინა, მოაგონა კანონიც—და რაკი ვერაფერს გახდა, გამოუცხადა, რომ კანონთა დებულების 184 მუხ. ძალით ლაპარაკის უფლება ჩამოართვა. ჩაერივნენ სხვებიც, ურჩევდნენ გაჩუმებულიყო, მაგრამ არც ამან იმოქმედა. რაკი არ გაჩუმდა და აღარ შეიძლებოდა მეცადინეობა, მამასახლისმა წაიკითხა იმავე კანონ-მდებლობის მე-178 მუხ., რომლითაც ნება ეძლევა უწესოებისა გამო კრების დახურვისა და კრება დახურა. აი ახლა აირია კიდევაც მონასტერი!.. გაცხარებულმა „მამამ“ აღამაღლა ხმა, აღაღო ბაგენი და დაუწყო უადგილო ლექსიკონის საშუალებით შემკობა რწმუნებულთ. მამასახლისს რჩევაზე გაჩუმებულიყო, დაცინვით მიუგო: ჩვენ იმისთვის დავიქირავეთ ეს სახლი და ვიხდით ქირას, რომ შეგვეძლოს თავისუფლად, რაც გვინდა, ის ვსთქვათ. როდესაც გაახსენეს, რომ აქ დაწესებულებაა, სადაც ზრდილობა და წესიერება აუცილებლად დაცული უნდა იყოსო, უფრო გაცოფდა და შეჰყვირა მამასახლისს: აი შე, დალებაშვილო, შენა! შენ ნება არა გაქვს შენიშვნა მომცე; მე ქალაქის ფული არ გამიფლანგავსო, მე მართალი კაცი ვარ და ამიტომ ხმა-მაღლა შემიძლიან ყოველივე სიმართლე ვსთქვაო. როგორც იყო, გაიყვანეს დარბაზიდან, დაწყნარდა ხალხი, თავისუფლად ამოვისუნთქეთ გარეშე მაყურებლებმა. შეადგინეს ოქმი და ჩვენც ჩაგვწერს მოწმეებათ. ეს ამბავი დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს ქალაქში.

ჩვენმა ადრინდელმა შენიშვნამ „ცნობის ფურცელში“ გასჭრა და ქალაქის ახალმა მამასახლისმა ყურადღება მიაქცია ჩვენგან ნაჩვენებ ქუჩებს. ზოგიერთ უფრო საჭირო ადგილს მოაჯირი უკვე გააკეთებინა და სხვაგანაც აკეთებინებს. ქუჩებიც—უმთავრესი მაინც—იგვება, ფარნებს უმატებენ და ქუჩებისა და გზების შეკეთებასაც მალე აპირებენ. ჯერ ხნობით ემჩნევა მეცადინეობა, თუმცა ბევრნი უშლიან ხელს. ბევრს იმედს იძლევა ქალაქის საკეთილდღეოთ და ვნახოთ, რა იქნება. ვუსურვებთ ყოველ კეთილი მიზნის შესრულებას.

მშვენიერი ამინდები იყო, ძალზე თბილა. ახლა კი მაინც რაღაც ბურუსი მოედო და საღამოობით სულ ჩააბნელებს ხოლმე, როგორც ჯანღი. მტვერია თუ სქელი ორთქლი—გაუგებარია.

შორეული.

წერილი ალაგირიდან

(ქართული წირვა-ლოცვა.—შარშანდელი მოსავალი)

ამას წინად ვწერდით გაზეთ „ცნ. ფურც.“-ში, რომ ალაგირელი ქართველები, რომელნიც 100 კომლზე მეტია, სრულიად მოკლებულნი არიან თავიანთ ენაზე წირვა-ლოცვას. აქ არის მღვდელი შთამომავლობით ოსი, რომელსაც ქართულს ენაზე ღვთის-მსახურების არა გაეგება-რა, რის გამო წინად დიდ-მარხვები თითქმის ისე გაივლიდა, რომ ქართველს აქაურ ეკკლესიაში იშვიათად შეხვდებოდით ხოლმე. ამ გარემოებას წელს ყურადღება მიაქცია ვლადიკავკავის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა და კეთილ-ინება ამ დიდ-მარხვის მეხუთე კვირაში აქაურს ეკლესიაში შესრულებულ იქმნას ქართული წირვა-ლოცვა. მღვდელ-მსახურების ასასრულებლად გამოგზავნა სოფ. ნებითი-ქრისტიანის (ოსების სოფელია) მღვდელი ნესტორ ბაკურაძე. ხალხმა, გაიგო თუ არა, ერთი კვირა ქართული წირვა-ლოცვა იქნებაო, იწყო მზადება და დანიშნულს კვირას მიაწყდა ეკკლესიას: კაცსა და ქალს, დიდსა და პატარას და ყველას უნდოდა დამტკბარიყო თავის ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენით.

წირვის დროს ქართულს გალობას ასრულებდა მოწაფეთაგან შემდგარი გუნდი, აქაურის სკოლის მასწავლებლის პ. ლომთათიძის ლოტბარობით. წირვის შემდეგ ბებრები თვალ-ცრემლიანი გამოდიოდნენ ეკლესიიდან და ამბობდნენ: „ეხლა დევიბადეთ ჭი და ვცხონდით, აწი რომ მოვკვდეთ, არაფრად ჩავაგდებთო“; ხოლო ახალ-გაზრდები გაიძახოდნენ: „ქვე რავარც ამბობდენ ჩვენი მამები, მართლაც და კარგი ყოფილა ქართული წირვა-ლოცვა-თქვა“.

როგორც აღსარების სიიდან აღმოჩნდა, მაზიარებელთა რიცხვი 180 აღემატება (მეტია). ამ ქართულმა წირვა-ლოცვამ საზოგადოთ ხალხზე ისეთი შთაბეჭდილება იქონია, რომ მათ გადასწყვიტეს, გაუგზავნონ დეპუტაცია, შემდგარი სამის კაცისაგან, ვლადიკავკავის ეპისკოპოსს ვლადიმერს უღრმესის მადლობის მოსახსენებლად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული ეპისკოპოსი ძლიერ თანაუგრძნობს თერგის ოლქში მყოფ ქართველობას, რომლის უტყუარს მაგალითს წარმოადგენს კავკავის ქართველობა, რომელთ ეკლესიის ასაშენებლად მან გამოითხოვა უწმინდესის სინოდისაგან ასი თუმანი და აგრეთვე მღვდელი დაუნიშნა სახელმწიფო ჯამაგირით, ამასვე სცდილობს ეხლა ყოვლად-სამღვდელო ალაგირელი ქართველებისათვისაც.

აქაური ქართველობა მიწის მუშაობას მისდევენ და სთესვენ უმეტეს ნაწილად სიმინდს და კართოფილს. საზოგადოთ, აქ სიმინდი კარგს მოსავალს აძლევს გლეხ-კაცს, მაგრამ შარშანდელი ყოველ წლების მოსავალს აღემატებოდა. იმდენი მოვიდა, რომ სასიმინდეში აღარ დაეტიათ; ზოგს ძველი სასიმინდეები სრულიად დაემტვრათ, რადგან პირამდის ავსებდნენ ხოლმე. მაგრამ რა უნდა ჰქნას ამ სიმინდმაც, როცა მტერა, მოყვარე, სხვა დღიური მოთხოვნილობე ამით უნდა გაისტუმრონ. სხვა შემოსავალი კი აქაურს გლეხს არსაიდან არა აქვს. სხვა წლებთან შედარებით, წელს აქ სიმინდის ფასმაც მოიკლო, მაგალითად, მერკა (ფუთ-ნახევარია) იყიდება შვიდ შაურად, როდესაც შარშან ესეთივე საწყაო იყიდებოდა არა ნაკლებ ათი შაურისა.

ამ ჟამად აქეთ მშვენიერი დარებია, ხალხი უკვე გავიდა მინდვრებში ხარებ-გუთნებით და შეუდგნენ ხვნა-თესვის თადარიგს.

პ. ლ—ძე

წვრილი ამბები

ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრებიდან. ფრანგული გაზეთები ბევრს რამეს გადმოგვცემენ ამ დიდებული ფრანგის, ვიქტორ ჰიუგოს, ყოფა-ცხოვრებაზე. ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთ წვრილმან ფაქტს.

ვიქტორ ჰიუგო გასტრონომი არ იყო, ჭამასმას ნაკლებად მისდევდა. იმისი საყვარელი საჭმელი იყო შემდეგი. აიღებდა კვერცხებს, ხორცს, წვანილს და თევზს, ყველა ამას დასჭრიდა, დაკეპავდა, ერთმანეთში აურევდა და დაამარილებდა. ეს იყო იმის საჭმელი. გარდა ამისა, ჰიუგოს ჩვეულებად ჰქონდა, გაუფცქვნელ ფორთოხალს გადაჰკლაპავდა ხოლმე და გულით გაიცინებდა, როდესაც იმის ოჯახობას ეს გარემოება შიშს მოჰგვრიდა.

ლიტერატურულ მუშაობის დროსაც სულ უბრალოდ იქცეოდა. სამუშაოდ ჰიუგოს ერთი უბრალო მუხის მაგიდა ედგა დიდს და ნათელს ოთახში, რომელსაც არაფერი მორთულობა არა ჰქონდა, როგორც ზოგიერთ ლიტერატორებს უყვარს თავის სამუშაო ოთახის მორთვა-მოწყობა. სწერდა დიდი ქაღალდის ფურცლებზე და თავის დღეში დაწერილს არ წაშლიდა; დაწერილ ფურცელს უკან გადაისროდა იატაკზე და შემდეგ, როცა წერას გაათავებდა, აჰკრეფდა ფურცლებს და რიგზე თავი თავს მოუყრიდა. საზოგადოდ ჰიუგო მუშაობდა დილით და მხოლოდ ხან-და-ხან საღამოთი. შუადღისას ძალიან ბევრს დასეირნობდა. თავის ნაწერებისთვის ხშირად თითონ ხატავდა ხოლმე სურათებს, საიდანაც ნათლადა სჩანდა ჰიუგოს გემოვნება და ნიჭი. ჰიუგო ხატვითაც მშვენივრად ხატავდა, თუმცა ხატვა თავის თავად ისწავლა.

ფულის საქმეში ვიქტორ ჰიუგო დიდ გულგრილობას იჩენდა და საღ მსჯელობას; ასე რომ იმისი პირობა, ალბერტ ლაკრუასთან დადებული თავის „საბრალონის“ შესახებ, შესანიშნავია თავის კამერციული მოსაზრებით და გამოანგარიშებით.

* *

ამერიკის რკინის გზები. თქმა არ უნდა, რომ ამერიკამ თავის რკინის გზებს სიმრავლით და დიდის მანძილით მთელ ევროპას აჯობა. მთელი რკინის გზების სიგრძე შეერთებულს შტატებში წარსული საუკუნის დამლევს უდრიდა 290,000 ვერსს. ლოკომოტივები იყო 30,583, ხოლო ვაგონები-1,282,421. მატარებლების სიარულის სისწრაფე ზოგიერთ გზაზე უდრის 105 ვერსს საათში. ზოგიერთ განსაკუთრებულ აშენებულ გზებზე მატარებლების სიარულის სისწრაფემ მიაღწია 150 ვერსს საათში. მატარებლების სიარულის სისწრაფე მაშინ იქნება გასაოცარი, როცა მატარებლების ელექტრონით მოძრაობის საქმეს დაამთავრებენ, რომელზედაც ეხლა მუშაობენ. ელექტრონით მოძრავი მატარებელი გაივლის საათში 200-დან 250-ვერსამდე.

ამ გვარად ამ მატარებლით ტფილისიდან ბათუმში ჩავა კაცი ორ საათში; ხოლო გორიდან ტფილისში - 27 წუთს.

* *

ჰენრიხ სენკევიჩის იუბილეი. აი რა საჩუქარი მიართვა პოლონელთა საზოგადოებამ, იუბილეის გამო, თავის გამოჩენილს მწერალ—რომანისტს, ჰენრიხ სენკევიჩს. საიუბილეო კომიტეტმა ამ დღეებში გამოაცხადა ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ შესავალ-გასავალი ნაღდ ფულად ყოფილა 86,671 მან. შემოსავლის უმთავრესს წყაროს შეადგენს ნება-ყოფლობითი შემოწირულება, რომელიც შეადგენს 76,133 მან. უმთავრესი ხარჯია: მამულის ყიდვა (სენკევიჩისთვის) 45.017 მან. და მამულის შეკეთება—მოწყობა-36,587 მან. გარდა ამისა, შემოსწირეს ნივთიერადაც: ასაშენებელი ტყის მასალა, სურათები, ავეჯი და სხვა სახლის სამკაული—სულ 29,400 მანეთისა; ასე რომ საიუბილეო საჩუქრის ღირებული ფასი უდრის სულ 107,183 მან. თითონ დღესასწაულის მოწყობა ვარშავში დაჯდა 233 მან. კომიტეტმა დაარიგა შემოწირულებათა ხელის მოსაწერი ფურცლები 2,201, რომელთაგან 43 დაკარგეს დამრიგებელთ, ხოლო 71 სულ არ დაუბრუნებიათ.

* *

„მოჩვენება“ სარდალი. ეხლა ინგლისის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ბურების განთქმული „მოჩვენება“ სარდალი- დევეტი პირდაპირი შთამომავალია შესანიშნავის ჰოლანდიის ადმირალის დე—ვიტტისა, რომელიც ყოველთვის ამარცხებდა ინგლისელებს 250 წლის წინად. იმისი თანამედროვე ადმირალი ბლაკი იმაზე შემდეგს მოგვითხრობს თავის ნაწერებში: „მე ბევრად ვამჯობინებ შევხვდე ზღვაში ვან—ტრომპს და რეიტერს, თუნდაც იმათ 80 გემიც ჰყვანდეთ, ვიდრე მარტო დე—ვიტს თავის 30 გემით. ეს მეტის მეტი გამბედავი ზღვაოსანია და ამასთანავე შესანიშნავი თვალთ—მაქცი. როდესაც იმას სამხრეთიდან მოელით, ის ჩრდილოეთით დაგეცემათ თავზე. გემებზე მოსამსახურეები ისე ჰყავს გაწრთვნილი, რომ თითო იმათგანი ხუთს ჩვენსას უდრის.

მაშ „მოჩვენება“ სარდალი ღირსეული წინაპრის ღირსეული შთამომავალი ყოფილა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 აპრილი

პეტერბურგი. 2 აპრილს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი სიპიაგინი შედიოდა მარიინკის სასახლეში მოთავსებულს მინისტრთა კომიტეტის სადგომში, მასთან მივიდა უცნობი კაცი, აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი, რომელიც კარეტით მოვიდა რამდენიმე წუთის წინ და შვეიცრის ოთახში უცდიდა მინისტრს, მიაწოდა დაბეჭდილი კონვერტი და იმ წამშივე ოთხჯერ ესროლა რევოლვერი; ეგერმეისტერი სიპიაგინი ორი ტყვიით მძიმედ იქმნა დაჭრილი. სიპიაგინი დაუყოვნებლივ გადაიტანეს მაქსიმილიანეს საავადმყოფოში, სადაც მას საექიმო დახმარება აღმოუჩინეს ექიმებმა ველიამინოვმა და

ტროიანოვმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიპიაგინი ერთის საათის შემდეგ გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს. აღმოჩნდა, რომ დატუსაღებული დამნაშავე სამხედრო სამსახურის კაცი არ არის, ხოლო ადიუტანტის ფორმა იმისთვის ჩაუცვამს, რომ დაუბრკოლებლად მისულიყო მინისტთან.

ტაგანროგი. დონის საადგილმამულო ბანკს შემოუვიდა 1901 წელს წმინდა მოგება 229,626 მან. და დივიდენდი გასცა აქციაზე ოცი მანეთი.

ასტრახანი. გუბერნატორი გენერალი გაზენკამფი პეტერბურგიდან დაბრუნდა.

ბაქო. პირველ აპრილს ცეცხლი გაუჩნდა „ბაქოს ნავთის საზოგადოების“ საწყობებს ბალახანაში. დაიწვა ხუთი კოშკი.

გაიხსნა ბაქოს ურთიერთ კრედიტის საზოგადოება.

ლონდონი. ბიუჯეტზე ლაპარაკის დროს [illegible]ზინის კანცლერმა სერ მიქაელ ჰიქს-ბიჩმა შენიშნა, რომ იმედია, ბურთა სარდლების მოლაპარაკებას კარგი შედეგი ჰქონდეს, მაგრამ იმან გავლენა არ უნდა იქონიოს ბიუჯეტის განხილვაზე, რადგანაც ისე არაფერი არ შეუწყობს ხელს მშვიდობიანობის ჩამოგდებას, როგორც პარლამენტის გადაწყვეტილება, განაგრძოს ომი, რაც უნდა მოხდეს.—იოჰანენსბურგიდან იტყობინებიან, რომ ბურების მეთაურ დელეგატებს გუშინ მოლაპარაკება ჰქონდათ მილნერთან, კიტჩენერის დასწრებით. როგორც ხმა ისმის, მილნერი და კიტჩენერი ერთად განაგრძობენ მოლაპარაკებას.

რადომი. გამოცხადდა გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებანი შესახებ საქონლის დაკვლისა და ხორცით ვაჭრობისა გუბერნიის ქალაქებში.

ლოძი. ქალაქის პრეზიდენტის, პენკოვსკის, შუამდგომლობით კანალიზაციის პროექტი დამტკიცეს.

ვარშავა. ვარშავაში მოვიდა იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათ მთავარ-მმართველი გრაფი პროტასოვი-ბახმეტიევი.

კიევი. ეპისკოპოსი სერგი პეტერბურგს წავიდა. მის მეუფებას პატივის მცემელთ მიართვეს შესამოსი და პანაგია.

ტიანძინი. „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ ჩისტოპოლიდან, რომ 1000 სალდათი გენერალ მას ჯარიდან გაიქცა და შეუერთდა აჯანყებულთ.

კრონშტადტი. მომავალი „ერმაკი“ სჩანს.

ოსტაშკოვი. ქალაქში ყველა გახარებულია ინჟენერების მოსვლით, რომელნიც უნდა შეუდგნენ ბოლოგოე-სედლეცის რკინის გზის აშენებას.

მოსკოვი. ცეცხლის მქრობელი დახმარების ქალაქის სექციამ დაადგინა, იშუამდგომლოს ცენტრალური სადგურის დაარსებაზე და აგრეთვე იმაზე, რომ ცეცხლის მქრობელთ სხვა არაფერი საქმე არ მიანდონ. სასოფლო სექციამ წარმოსთქვა, რომ ცეცხლის წინაამდეგი შენობების აგება საცდელად შეიძლება შესრულდეს სათადარიგო დამზღვევი თანხიდან, მაგრამ სასურველია, რომ ხაზინამაც დაუნიშნოს შემწეობა.

პეტერბურგი. პირველ აპრილს გარდაიცვალა ბარონი დიმიტრი თეოდორეს ძე სტიუარტი, დირექტორი სახელმწიფო და კარეშე საქმეთა სამინისტროს პეტერბურგის უმთავრესის არხივისა.

3 აპრილი

პეტერბურგი. 2 აპრილს, საღამოს ცხრა საათზე, გარდაცვალებულის შინაგან საქმეთა მინისტრის სიპიაგინისა მინისტრის სახლში პირველ პანაშვიდზე დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრები ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეუღლით, ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე, პეტრე ნიკოლოოზის ძე, ნიკოლოოზ მიხეილის ძე და სერგეი მიხეილის ძე, სახელმწიფო საბჭოს წევრები, მინისტრები, იმათი ამხანაგები, ბევრი საპატიო ოპეკუნი, სენატორები და უმაღლესი პირნი სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელენი. განსვენებულ მინისტრს ანდერძს აუგებენ 4 აპრილს თავის კარის ეკკლესიაში, ხოლო დასასაფლავებად წაასვენებენ ალექსანდრე-ნეველის ლავრის სასაფლაოზე.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შრომის სახლთა სამზრუნველო კომიტეტის ანგარიში და აგრეთვე მოღვაწეობა ევრეინოვისა, რომელიც გაგზავნილი იყო ციმბირის ზოგიერთ 1901 წ. მოუსავლელობისაგან დაზარალებულს ადგილებში, რათა ხალხისათვის დახმარება აღმოეჩინა.

მთავარ შტაბს სწერენ პორტ-არტურიდან 30 მარტს, რომ მუკდენის და გირინის საზღვრებზე ამ ბოლო ხანებში გამოჩნდება ხოლმე დიდი ბრბოები ხუნხუზებისა, რკინის გზის სადგურებს ახლო, რის გამოც ვგზავნით ხოლმე საზღვრის სადარაჯო რაზმს. ერთ შეტაკების დროს 17 მარტს დაიჭრა ერთი ყაზახი. 19 მარტს შტაბ-როტმისტრი გადაერია ხელ-ჩართულ ომში. 800 ხუნხუზისაგან გადარჩა მხოლოდ 30, ჩვენ მოგვიკლეს ერთი ჯარის კაცი, სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი ჯარის კაცი და სუმბუქად პორუჩიკი კოზაკოვსკი და ოთხი ჯარის კაცი.

პოლტავის გუბერნატორმა ბელგარდმა პეტერბურგში ყოფნის დროს მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს ტელეფონის გამართვა. ხელმწიფემ განსაკუთრებული სიამოვნება განაცხადა.

— ლონდონის პურის ვაჭართა ასოციაციამ დაურიგა სამხრეთ-რუსეთის მრეწველთ სავალდებულო ახალი კონოსამენტი, რომელიც რუსეთის მრეწველობის საზარალოდ არის შემდგარი. ნიკოლაევსკის საბირჟო კომიტეტის საბჭომ დაადგინა, არ მიიღონ ეს კონოსამენტები.

ლონდონი. საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ სამინისტრომ მიიღო გუშინ ბურების პასუხი, რომელიც დღეს გაშინჯეს. მდგომარეობა ნუგეშს იძლევა, რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდება.

ბაქო. ხუთ დამწვარ კოშკში ოთხი ქალანთაროვისაა.

პარიჟი. დელკასსემ აუწყა მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი რუზველტის წერილი, რომლითაც ის იწვევს პრეზიდენტ ლუბეს, დაესწროს მარშალ როშამბოს ძეგლის კურთხევას ვაშინგტონში. საფრანგეთის ელჩს ვაშინგტონში ბრძანება გაეგზავნა, გადასცეს რუზველტს ლუბეს მადლობა. ელჩი აუწყებს რუზველტს იმ დელეგაციის წევრების სახელებს, რომლებიც ლუბეს მაგივრად დაესწრებიან დღესასწაულს.

მოსკოვი. სამწუხარო ამბის მიღების გამო შინაგან საქმეთა მინისტრის გადაცვალებაზე გენერალ-გუბერნატორის სახლში პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც დაესწრნენ უმაღლესნი პირნი.

ურალსკი. ექიმმა სკვორკინმა შესწირა 4,000 მან. უცხო ტომის ხალხის საავადმყოფოს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა კანონ-პროექტი ხორბლისა და ფქვილის შემოსატან გარდასახადზე.

რიაზანი. ჩინოვნიკმა ნიკოლსკიმ თავის სახლში რევოლვერით სუმბუქად დასჭრა მზარეული დედაკაცი; როდესაც სამსახურში მივიდა სახაზინო პალატაში, ესროლა განყოფილების უფროსს, სტოლის უფროსს და ამხანაგს, მაგრამ ააცდინა. ნიკოლსკი საავადმყოფოში გაგზავნეს.

სოფია. მთავრობამ აცნობა მაკედონიის კომიტეტის მეთაურთ, რომ იმან გადასწყვიტა, კომიტეტი დაითხოვოს. ამის მიზეზი ის არის, რომ უმთავრესს აგენტებს მოასწრეს, როცა ისინი ბრბოს ადგენენ.—სერბიის პოლიტიკური აგენტის მოულოდნელმა გაწვევამ აქაურები გაანცვიფრა.

პეტერბურგი. კრონშტადტიდან იტყობინებიან, რომ „ერმაკი“ კრონშტადტთან მოვიდა; გემზე მშვიდობიანობაა; გემმა დაიგვიანა დიდი თოვლისა და ყინულის გამო.

პარიჟი. მტკიცდება, რომ პრეზიდენტი ლუბე გემში ჩაჯდება ბრესტში—პირველ აპრილის პრეფექტი კადიკსა რუსის ესკადრის საადმირალო გემზე იყო. ესკადრა გუშინ უნდა გასულიყო აქედან, მაგრამ რამდენიმე დღეს კიდევ დარჩება აქ.

ჰააგა. დედოფალს კუჭის ტკივილი აქვს.

კურსკი. გუბერნატორი გრაფი მილიუტინი საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 2 აპრილს

ვექსილის კურსი 6 თვიდ:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,20	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98^1/_4$	მყიდვ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$355^1/_2$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	302	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$83^1/_4$	„
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	„
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	185	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ვ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის [illegible] ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის სადომს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Грузинское Издательское Товарищество.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნა ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,

ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.

მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმარილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—14)

მზადდება პიესების კრებული

„ცხოვრების სარკე“

გამოცემა იოსებ იმედაშვილისა

მე-III წიგნი, რომელშიაც დაიბეჭდება 7—10 (შვიდიდან ათამდის) ჯერ დაუბეჭდავი ახალი პიესა: ავაზაკები (ყაჩაღები), ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, დრამები, კომედიები, ვოდევილები, სცენები, ლექსები, წერილები თეატრის შესახები, სურათები მსახიობ-მოღვაწეთა და სხვათა შორის, ვლ. მესხიშვილისა (სხვა-და-სხვა როლებში).

რადგანაც ამ გამოცემას დიდი ხარჯი უნდება, ამიტომ საზოგადოებას ვსთხოვთ ხელი მოგვიმართოს წიგნის დაკვეთაში, ე. ი. თვითო წიგნი წინდაწინვე დაიკვეთოს **ერთ მანეთად**, შემდეგ **მეტი ეღირება.**

ხელის მოწერა მიიღება გამომცემლის წიგნთ საცავში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ და აგრეთვე აგენტებთან.

ფული შეიძლება ფოსტითაც გამოიგზავნოს ხელის-მომწერლის სრულის ადრესით. წიგნი გამოსვლის უმალ გაეგზავნება ხელის-მომწერთ. გასაგზავნ ხარჯსაც ჩვენ ვიხდით. ჩვენ ადრესი: Тифлисъ, книжная торговля, Іосифу Зах. Имедашвили. (5—5)

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულს საზოგადოებას, **რომ ამ წლის 1 მარტიდან** ჩვენგან ახლათ გაღებულს

სახელოსნოში მიიღება ყოველგვარი ხის საქმე

სახელდობრ: სახლის ავეჯეულობა, სკოლის ავეჯეულობა, ეკკლესიის კანკელები, შენობების კარ-ფანჯარა, „პადეზდის“ კარები და სხვა. სახელოსნოს მშრალ სახლებში მოთავსება-მოწყობა და ჩვენს საქმეში 30 წლის გამოცდა გვაბედვინებს დავაიმედოთ მუშტარი, რომ ჩვენს სახელოსნოში გაკეთებული საქმე საიმედო იქნება. ამისათვის სახელოსნო კისრულობს პასუხის გებას. აგრეთვე სახელოსნოვე კისრულობს ქალაქ გარედაც გაგზავნოს თავისი სეული ნივთები, სადაც კი ურმის გზა არის, რომ მუშტარს გაუადვილოს შრომა.

ადრესი: ფასანაურის ვიწრო ქუჩა (ვერაზე), საკუთარი სახლი, № 16.

(10—4) სახელოსნოს პატრონები ძმ. ვ. და დ. გოცირიძეები.

Дозволен цензурою Тифлисъ, 3 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ. მბ. წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.